იცი, როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში?
წაიკითხე ორი ტექსტი და გაიგებ, რა ხდება ახალ წელს ინგლისსა და ავსტრალიაში.

ახალი წელი ინგლისში

ახალი წელი ინგლისში პირველ იანვარს დგება. ამ დროს ზამთარია და ცივა, მაგრამ ქუჩებში მაინც **იმართება** მხიარული კარნავალები. კარნავალში ხშირად მონაწილეობენ ზღაპრების გმირები: ჰობი ჰორსი, პანჩი და სხვ. მსახიობები ინგლისური ზღაპრების მიხედვით ბავშვებისთვის **სპექტაკლებს** ქუჩებში დგამენ.

ქალაქის ქუჩებში ნიღბებს, სასტვენებს, ფრანებს, ბუშტებსა და სხვა ნივთებს ყიდიან.

ახალი წლის ღამეს ბავშვები თეფშებს ტოვებენ მაგიდაზე. მათ სჯერათ, რომ წითელ ქურქში გამოწყობილი თეთრწვერა სანტა კლაუსი მოვა. იგი ცარიელ თეფშებზე მათ ლამაზ საჩუქრებს დაუწყობს.

ზარების რეკვას ახალი წლის დადგომამდე იწყებენ. თავიდან ზარები შეფუთულია, ამიტომ მათი ხმა ჩუმად ისმის. ზუსტად 12 საათზე ზარებს აშიშვლებენ და ისინი მთელი ძალით რეკავენ.

ინგლისში არსებობს კიდევ ერთი ძველი **ტრადიცია**. როდესაც საათის ისრები 12-ს მიუახლოვდება, სახლის უკანა კარს აღებენ. ამ კარიდან ძველი წელი უნდა გააცილონ. ზარის ბოლო ჩამოკვრისას წინა კარს ხსნიან, რომ სახლში ახალი წელი შეუშვან.

ახალი წელი ავსტრალიაში

ახალ წელს ავსტრალიაშიც პირველ იანვარს აღნიშნავენ. როგორც ვიცით, ინგლისი დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარეობს. ავსტრალია კი სამხრეთ ნახევარსფეროშია. დეკემბერსა და იანვარში აქ **გაგანია** ზაფხულია. ახალი წლის დადგომისას ამ ქვეყანაში ძალიან ცხელა. ოკეანის პლაჟზე დადის საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი სანტა კლაუსი. თუმცა მას, როგორც ყველა სანტა კლაუსს, თეთრი წვერიც აქვს და წითელი ქუდიც ახურავს.

ავსტრალიელები ახალ წელს ხვდებიან რესტორნებში, ბარებში, ოკეანის სანაპიროზე. პლაჟზე ულამაზეს ფეიერვერკებს უშვებენ. იმართება უფასო კონცერტები.

ზუსტად თორმეტ საათზე ისმის ადამიანების ყვირილი, სტვენა. რეკავენ ზარებს. ასე შემოდის ავსტრალიაში ახალი წელი.

დაფიქრდი, ინგლისში გაატარებდი ახალ წელს თუ ავსტრალიაში? რატომ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ინგლისსა და ავსტრალიაში:

ა) ახალი წელი დგება პირველ იანვარს.

ბ) სანტა კლაუსს საცურაო კოსტიუმი აცვია.

გ) ძველ წელს სახლის უკანა კარიდან აცილებენ.

2 რით ჰგავს ერთმანეთს ახალი წლის ღამე ინგლისსა და ავსტრალიაში?

ა) ორივე ქვეყანაში ბავშვებისთვის დგამენ სპექტაკლებს.

ბ) ორივე ქვეყანაში თორმეტ საათზე რეკავენ ზარებს.

გ) ორივე ქვეყანაში უამრავი ნივთი იყიდება ქუჩებში.

3 ინგლისსა და ავსტრალიაში ახალი წელი არ ჩაივლის:

ა) ზარების შეფუთვის გარეშე.

ბ) სანტა კლაუსის გარეშე.

გ) სიცივისა და თოვლის გარეშე.

4 რომელი ინფორმაცია შეესაბამება ტექსტს?

ა) ახალ წელს ინგლისში ცივი ზამთარია, ავსტრალიაში – ცხელი ზაფხული.

ბ) ახალ წელს კარნავალი იმართება როგორც ინგლისში, ისე ავსტრალიაში.

გ) მხოლოდ ინგლისში ახურავს თეთრწვერა სანტა კლაუსს წითელი ქუდი.

5 მოცემული ტექსტის მიზანია გაგვაცნოს:

ა) დედამიწის რომელ ნაწილშია ინგლისი და რომელში – ავსტრალია.

ბ) როგორი ამინდია ახალ წელს ინგლისსა და ავსტრალიაში.

გ) როგორია ახალი წლის ტრადიციები ინგლისსა და ავსტრალიაში.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. უფასო კონცერტები **<u>იმართება</u>**.
ა) გრძელდება. ბ) იწყება. გ) ტარდება.

2. ეს **<u>სპექტაკლი</u>** ბავშვებისთვისაა.
ა) თეატრალური წარმოდგენა.
ბ) მხიარული კარნავალი.
გ) საახალწლო დღესასწაული.

3. ინგლისელებს რამდენიმე ძველი საახალწლო **<u>ტრადიცია</u>** აქვთ.
ა) სპექტაკლი. ბ) სიმღერა. გ) წესი.

4. ახალ წელს ავსტრალიაში **<u>გაგანია</u>** ზაფხულია.
ა) მეტისმეტად ცხელი. ბ) ყველაზე გრილი. გ) ძალიან მხიარული.

2 სიტყვა <u>თავიდან</u> რომელ წინადადებაში აღნიშნავს <u>დასაწყისს</u>?
ა) ამ სანახაობას თავიდან ვერავინ ამოიგდებს.
ბ) თავიდან ზარები ჩუმად რეკავენ.
გ) ის თავიდან ფეხებამდე წითლებშია გამოწყობილი.

3 გაიხსენე და დაწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).

1. ცარიელი – ---------- .
2. ტკბილი – ---------- .
3. მხიარული – ---------- .
4. ხშირად – ---------- .

▶▶▶ გრამატიკა

1 ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დაწერე სწორი ფორმით.

1. ფიფქია ჩემი საყვარელი (*ზღაპარი*) ---------- გმირია.
2. მსახიობი ამ სპექტაკლში ერთი უცნაური (*ნილაბი*) ---------- გამოდის.
3. შობა ღამით ბავშვები სანტა (*კლაუსი*) ---------- ელოდებიან.

გრამატიკა

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

1. ნიღაბი – ---------- .
2. ოკეანე – ---------- .
3. ზღაპარი – ---------- .
4. დღე – ---------- .

3 კითხვებისა და ნიმუშის მიხედვით შეავსე ცხრილი.

რა?	**რას იზამს?**	**როგორი?**
გაღება	*გააღებს*	*გაღებული*
შეფუთვა	----------	----------
დადგმა	----------	----------

წერა

1 შეავსე ვენის დიაგრამა. დაწერე, რით ჰგავს ინგლისის, ავსტრალიისა და საქართველოს საახალწლო ტრადიციები ერთმანეთს და რით განსხვავდება.

გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატებით.



2 დაწერე შენი ოჯახის ერთ-ერთი საახალწლო ტრადიციის შესახებ.